



European Human Rights Advocacy Centre

საქართველოს ხელისუფლება არღვევს აქციაზე მყოფი ჟურნალისტებისა და დაპატიმრებული ყოფილი მინისტრის უფლებებს

გამოქვეყნდა: 12 აგვისტო, 2015

ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობამ ორ საქმეზე მორიგებას მიაღწია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, აღიარა რა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3, მე-5, მე-6 და მე-10 მუხლების დარღვევა. ორივე საქმეში, მომჩივნებს წარმოადგენდნენ [მიდლსექსის უნივერსიტეტში](#) დაფუძნებული ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი და [საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია](#).

[შპს სტუდია მანესტრო და სხვები საქართველოს წინააღმდეგ \(22318/10\)](#)

აღნიშნულ საქმეში, მომჩივნები იყვნენ სტუდია მანესტრო (კერძო ტელეკომპანია), მისი ორი ჟურნალისტი (თეონა ლალიაშვილი და შოთა კაპანაძე) და პოლიტიკური პარტიის პრეს-აგენტი (ნესტან ინასარიძე). 2009 წლის აპრილისა და ივნისის პერიოდში, ოპოზიციის ათასობით მხარდამჭერი მართავდა აქციებს თბილისსა და საქართველოს სხვა მნიშვნელოვან ქალაქებში. აქციის მთავარი მოთხოვნა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომა იყო. 15 ივნისს, როდესაც მოვლენათა გასაშუქებლად აქციას ჟურნალისტები ესწრებოდნენ, ისინი გახდნენ პოლიციის თანამშრომელთა მიერ აქციის მონაწილეთა დარბევისა და რეზინის ხელკეტებითა და ბეისბოლის ჯოხებით მათი განურჩევლად ცემის თვითმხილველნი. პოლიციელებმა ჟურნალისტებს იძულებით ჩამოართვეს კამერები მას შემდეგ, რაც მიხვდნენ, რომ მათი ქმედებების გადაღება ხდებოდა, ხოლო ქ-ნ ინასარიძეს ხელსა და ხერხემლის არეში მიაყენეს დაზიანებები. მიუხედავად მეორე დღესვე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის დაპირებისა და დაზარალებული ჟურნალისტებისთვის საჯაროდ ბოდიშის მოხდისა, დღემდე აღნიშნულ საქმეზე ეფექტური გამოძიება არ ჩატარებულა.

ჟურნალისტები დავობდნენ, რომ ისინი დაექვემდებარნენ არასათანადო მოპყრობას და თითოეული მომჩივანი, მათ შორის ტელეკომპანია, ასაჩივრებდა გამოხატვის თავისუფლებაში (მე-10 მუხლი) ჩარევას, ვინაიდან პოლიციამ მათ ხელი შეუშალა ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებაში. მთავრობამ წარადგინა ცალმხრივი დეკლარაცია, რომლითაც აღიარა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა ნესტან ინასარიძის მიმართ, რადგან მის მიერ მიღებული დაზიანებების ფაქტი არ იქნა გამოძიებული და ყველა მომჩივნის მიმართ მე-10 მუხლის დარღვევა.



European Human Rights Advocacy Centre

მომჩივნებმა მიიღეს კომპენსაცია 7,500 ევროს ოდენობით, მიყენებული ზიანისა და ხარჯების დასაფარად.

[მირცხულავა საქართველოს წინააღმდეგ \(18372/04\)](#)

დავით მირცხულავა, 1999 წლიდან 2003 წლამდე, იყო საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი. 2003 წლის 24 დეკემბერს, მას ბრალად დასდეს სახელმწიფო თანხების მითვისება. 2005 წლის 30 მარტს, ის გაასამართლეს და თბილისის საქალაქო სასამართლომ მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. აღნიშნული ვადა მოგვიანებით შემცირდა და პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რომელსაც ადრე ბ-ნი მირცხულავას დაკავების მხარდამჭერი კომენტარები ჰქონდა გაკეთებული, იგი შეიწყალა. პატიმრობის მთელი პერიოდის განმავლობაში ბ-ნი მირცხულავას აწუხებდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და მან ხანგრძლივი პერიოდი გაატარა ციხის საავადმყოფოში.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ბ-ნი მირცხულავა დავობდა, რომ არაადეკვატური სამედიცინო მკურნალობა უტოლდებოდა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ არასათანადო მოპყრობას. იგი აცხადებდა, რომ მისი დაკავება და წინასწარი პატიმრობა დაუსაბუთებელი იყო და არღვევდა მე-5 მუხლით განმტკიცებულ პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას. ის ასევე დავობდა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაკეთებულმა თავდაპირველმა კომენტარებმა დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია (მე-6 (2) მუხლი) და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება (მე-8 მუხლი). საბოლოო ჯამში, მე-12 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე, ბ-ნი მირცხულავა აცხადებდა, რომ მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლისსამართლებრივი საქმის გამოძიება იყო დისკრიმინაციული ფორმის.

განსახილველ საქმეში ხელისუფლებამ აღიარა ევროპული კონვენციის შემდეგი მუხლების დარღვევა:

- მე-3 მუხლი - ციხეში, ბ-ნი მირცხულავას მიმართ, არასათანადო მკურნალობის ფაქტის გამო;
- მე-5 მუხლის პირველი და მესამე პუნქტები - წინასწარი პატიმრობის პროცესში დაშვებული შეცდომების, ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებათა არასაკმარისი დასაბუთების გამო, რომელთა საფუძველზეც მოხდა ბ-ნი მირცხულავას დაკავება;
- მე-6 მუხლის მეორე პუნქტი - ვინაიდან პრეზიდენტის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა ძირი გამოუთხარა უდანაშაულობის პრეზუმფციას.

საქართველოს მთავრობა ასევე, დათანხმდა, გადაუხადოს ბ-ნი მირცხულავას 5000 ევრო მიყენებული ზიანისა და ხარჯებისათვის.